მარბაროსის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ქალაქ გიოლჯუკში 1926 წელს გემთსაშენი დაარსდა, რომელიც თანდათან თურქეთის სამხედრო გემთსაშენი ხომალდების მშენებლობის ცენტრად გადაიქცა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში ეროვნული სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის თურქული გემთსაშენი კომპანია Gulcsk Naval Shipyard-ი მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან გერმანულ კომპანია (HWD) Alstomer-Deutsche Werft-ს (HDW) წყალქვეშა ნავების ერთობლივ მშენებლობაზე შეუთანხმდა.

1975-78 წლებში გერმანელებმა კვლავ თურქეთისათვის T 209/1200 პროექტის სამი წყალქვეშა ნავი (S-347

შავი ზღვისპირა ქვეყნების შორის თურქეთის წყალქვეშა ფლოტი ყველაზე თანამედროვე და მრავალრიცხოვანია





უკრაინელთა „ზაპოროჟიემ“ რემონტის შემდეგ წელს ცურვა უნდა დაიწყო

Atilay, S-348 Saldiray, S-349 Batiray) ააგეს.

სერიის მომდევნო სამი სუბმარინა (S-350 Yildiray, S-351 Dojanay, S-352 Dolunay) გერმანელების ტექნიკური დახმარებით გიოლჯუკში აიგო.

მაღე გიოლჯუკის გემთსაშენი უფრო დიდი და გაუმჯობესებული T 209/T1.1400 პროექტის წყალქვეშა

ნაგების მშენებლობაზე გადავიდა და 1994-99 წლებში ფლოტს ოთხი სუბმარინა (S-353 Preveze, S-354 Sakarya, S-355 18 Mart, S-356 Anafartalar) გადასცა.

1998 წლიდან გიოლჯუკის გემთსაშენში T 209/T2.1400 პროექტის წყალქვეშა ხომალდები შენდება და ოთხი მათგანი (S-357 Gbr, S-358

Zanakkale, S-359 Burakreis, S-360 Birinci Inçil) ფლოტმა უკვე მიიღო.

თანამედროვე და სრულყოფილი ტექნოლოგიების გამოყენებით თურქი გემთმშენებლები 1600 ტონა წყალწვევის თანამედროვე წყალქვეშა ნაგებს საშუალოდ 4-5 წელიწადში აშენებენ.

გერმანული პროექტებით აგებული თითხმეტევე წყალქვეშა ნავი მწვობრშია და ისინი შუგ ზღვაში რეგულარულად დაცურავენ, მონაწილეობენ სწავლებებში და არცთუ იშვიათად სვეასტოპოლსაც სტუმრობენ.

შავიზღვისპირა ქვეყნიებიდან ერთადერთი საქართველოა, რომლის სამხედრო-საზღვაო ძალებმა არსებობა ისე დაასრულა, რომ წყალქვეშა ნავი არ ჰყოლია.

მაგრამ მჭიდრო მსოფლიო ომში შავი ზღვის ფლოტის წყალქვეშა ნაგები ფოთის პორტსა და ოჩამჩირეს დროებითი ბაზირებისათვის თითქმის ორ წელს იყენებდნენ, ხოლო საქართველოს სანაპიროსთან 1942-44 წლებში გერმანული და რუმინული წყალქვეშა ნაგები კრეისერობდნენ და რამდენიმე ხომალდისა თუ გემის ჩაძირვაც შეძლეს.

თეიმურ ჩაჩანიძე

**ყველა თაობის
საყვარელი გაზეთი
1934 წლიდან**

ცხინვალის რაიონმა ომისათვის გზადება დიდი ხნის წინ დაიწყო

შვიდცარიეტი დიპლომატიის, ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით საქართველო-რუსეთის ომის მიზეზების შემსწავლელმა ევროკავშირის კომისიამ გასული თვის ბოლოს 900-გვერდიანი დასკვნა გამოაქვეყნა, რომელიც სხვადასხვაგვარად შეფასდა. კომისიის მუშაობის მიზანი მტყუან-მართლის გარკვევა არ იყო, მაგრამ კონფლიქტის მონაწილეები ეი დასკვნის ცალკეულ ნაწილსა თუ მისთვის სასარგებლო არგუმენტაციას ამახვილებენ ყურადღებებს.



ცხინვალის უკანონო შეიარაღებული ფორმირებების სატანკო ქვედანაყოფის T-55 სწავლებლებზე

ცხინვალის რეგიონში 1989 წლის აგვისტოში პოლიტიკური მიზეზით დაწყებული ე.წ. ქართულ-ოსური კონფლიქტი 2008 წლის აგვისტოში საქართველო-რუსეთის ომში გადაიზარდა, რაც შემდგომში მოსკოვის მხრიდან საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებით დასრულდა.

ამ მიზნის მისაღწევად მუშაობა ჯერ კიდევ შორეულ 1992 წელს დაიწყო, როცა დაპირისპირების შეწყვეტისა და კონფლიქტის „შედილობიანად“ დარეგულირებისათვის 24 ივნისს სოჭში ხელმოწერილი პირველი დოკუმენტის — „ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პრინციპების შესახებ“ მე-3 მუხლმა საქართველო არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა.

ეს მუხლი საქართველოს, რუსეთის, ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებსაგან თიხზირევი შერეული საკონტროლო კომისიის ამოქმედებას ითვალისწინებდა და ასეთი კომისია იმავე წლის 31 ოქტომბერს შეიქმნა.

წლების მანძილზე რუსეთის, ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელთა ერთიანმა მოქმედებებმა საქართველოს ბევრი კარგა და საინტერესო ინიციატივა დაბლოკა. სამაგიეროდ, ცხინვალის სეპარატისტულ რეჟიმს სამხედრო მზადებისაკენ გზა გაუხსნა.

შერეული საკონტროლო კომისიის ერთ-ერთი მიზანი დანიშნულება კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის გაკონტროლება, შეიარაღებული ფორმირებების გაყვანა, ადგილობრივი მოსახლეობისაგან შექმნილი თავდაცვის რაზმების დაშლა და კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო, მაგრამ რეგიონში მოქმედ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა დაშლა-განწარალება არათუ დაიწყო, არამედ პირიქით — ე.წ. სამხრეთ ოსეთის თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდნენ.

არსებობს შერეული საკონტროლო კომისიის 1994 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომელიც ოსური პატალიონის ქვეითთა საბრძოლო მანქანებისა და მძიმე შეიარაღების 1995 წლის 1-ელი თებერვლიდან კონსერვაციაზე დაუქნებას მოითხოვდა.

როგორც წესი, ასეთი მოთხოვნები ქაღალდზე რჩებოდა. რუსეთის განიარაღებული ცხინვალის რეჟიმი ხელს არ აძლევდა და ადგილობრივ შეიარაღებულ ფორმირებებზე ფულით, სამხედრო ტექნიკითა თუ კადრებით ემარჯობა.

2004 წლის 6 ივლისიდან თავდაცვის სამინისტროს სათავეში ჩაუდგა რუსეთის მოქალაქე და რუსეთის არმიის პოლკოვნიკი ანატოლი ბარანცკოვი. სამხედრო საქმეში გამოცდილმა ახალ-

მა მინისტრმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის არმიას ორგანიზაციულად უფრო სრულყოფილი სახე მისცა.

სხვადასხვა რაზმი და ფორმირება მოტროსრულად ბატალიონებში გაერთიანდნენ. ჩამოყალიბდა სატანკო ასეული, საარტილერიო დივიზიონი, სადაზვერუო-სპეცდანიშნულების, საინჟინრო და სხვა ქვედანაყოფები.

ცხინვალში აღლუმებზე ოსური უკანონო ფორმირებების მძიმე შეიარაღება — T-55 ტიპის ტანკები, 12 მმ-იანი თვითმავალი პაუბერები 2C1 „გვოზდიაკა“, 122 მმ-იანი ბუქსირებადი პაუბერები D-30, 120 მმ-იანი ნადსატურენები და სხვა ტექნიკა არაერთგზის იყო წარმოდგენილი.

მოქვეყნდა სამხედრო სამსახურში გაწვევისა და რეზერვისტთა აღრიცხვის სისტემა, სამხედრო მომზადებამ და სწავლებებმა რეგულარული ხასიათი მიიღო.

2008 წლის ივლის-აგვისტოში გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ბარანცკოვი, უკვე ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის რანგში, ცხინვალში მიმდინარე ბრძოლებს ხელმძღვანელობდა, რისთვისაც მისი განკარგულებით წინასწარ საცხოვრებელი სახლების სარდაფებში იარაღისა და საბრძოლო მასალების საწყობები, მართვისა და სამედიცინო პუნქტები მომზადდა.



ჯავახთან რუსების მიერ
წინასწარ მომზადებული
შვეულმფრენების მოედნები
2008.09.13

ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისიის წევრებითა და რუსეთის ზელმეფობით შექმნილმა ცხინვალის რეჟიმის შეიარაღებულმა ფორმირებებმა ავჯისტოს მოვლენათა ვადივებებში მთავარი როლი შეასრულეს.

შეგარდნაძის ხელისუფლების კიდევ ერთი დიდი შეცდომა ის იყო, რომ კონფლიქტურ რეგიონში ე.წ. ჩრდილო-ოსური სამშვიდობო ბატალიონის განთავსებაზე დათანხმდა.

ბატალიონში სამსახურს, ძირითადად, რუსეთის პასპორტების მქონე ცხინვალის რეგიონის მცხოვრებნი გადიოდნენ, სამხედრო საქმეში კარგად მომზადებულ-გაწვრთნილი ეს მებრძოლები ცხინვალის რეჟიმის რუსურეს წარმოადგენდნენ.

არსებობის დღიდან ბატალიონში სამსახური დაახლოებით 2 ათას ხუთასამდე კაცმა გაიარა. ბევრმა სამსახური ცხინვალის სხვადასხვა ფორმირებებში გააგრძელა და საქართველოს წინააღმდეგ მძარითულ პროვოკაციებსა და ავჯისტოს ომშიც მონაწილეობდა.

სამტატო განრიგით ბატალიონის რიცხობრივი რაოდენობა დაახლოებით 550 კაცს შეადგენდა, ჰყავდათ 24 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2 და 18 ავჯმანტრანსპორტიორი БТР-70.

ბატალიონის პოზიციები განთავსებული იყო სოფლებთან: წნელითთან, იონჩასთან, მუგუთთან, დაბა ზნაურთან, ცხინვალის სამხრეთ საზღვარზე, ახალგორის რაიონის სოფლებში — გროსსა და წინაგარაში, ფრისის სიმაღლეებსა და სოფელ მონასტერთან.

ავჯისტოს ომში ე.წ. ოსურმა სამშვიდობო ბატალიონის ქვედანაყოფებმა

სოფლებში მოწყობილი თითქმის ყველა პოსტი უბრძოლველად დათმეს და წინააღმდეგობის უშთაურესი კერები ცხინვალში შექმნეს.

ბატალიონის პოლკოვნიკი ვახბგ ფრივეი მეთაურობდა. მისი თქმით, ცხინვალისათვის ბრძოლებში ე.წ. ოსური სამშვიდობო ბატალიონი „აღანია“ კოკოითის შეიარაღებული ფორმირებების მთავარ ბირთვს ქმნიდა.

ბატალიონის ძირითადი ძალა — 200 სამხედრო 11 БМП-2-ით ცხინვალის სამხრეთ ნაწილში იყო განთავსებული, ხოლო სხვა ტექნიკა და პირადი შემადგენლობა ტყეში იმალებოდა.

რუსეთის ჯარების საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრის ერთ-ერთ მიზეზად მოსკოვი ე.წ. რუსულ სამშვიდობო ბატალიონზე თვდასხმას ასახელებს.

ბოლო წლებში ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში სამსახურს ყაბარდო-ბალყარეთის ქალაქ პროხლადნის 135-ე მოტომხროლული პოლკის ბატალიონები მონაცვლილობით გადიოდნენ.

2008 წლის აგვისტოსათვის რეგიონში პოლკის მთლიან მოტომხროლული ბატალიონი იყო, რომელსაც რუსეთის მომავალი გმირი, პოდპოლკოვნიკი კონსტანტინ ტიმბერმანი მეთაურობდა.

ბატალიონის სამშვიდობო პირობით შეიძლება ეწოდოს, რადგან ის 42-ე მოტომხროლული დივიზიის ჩვენური ბატალიონ „ვოსტოკის“ ასეულითა და 22-ე სპეცდანიშნულების ბრიგადის ერთ-ერთი რაზმით იყო გაძლიერებული.

„ვოსტოკის“ ასეული 80-მდე მებრძოლი ითვლიდა და 2 ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2 და МТЛБ ტაბის სამი გამწე ჰყავდა.

22-ე ბრიგადის რაზმში 100 მებრძოლზე ოდნავ მეტი თუ იქნებოდა.

სპეცდანიშნულების შესასრულებლად მომზადებული ორივე ქვედანაყოფი უშუალოდ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერულო სამმართველოს განკარგულებაში იყო.

135-ე პოლკის მებრძოლებსაც განსხვავებით, „ვოსტოკსა“ და 22-ე ბრიგადას ჩვენებში ჩატარებული სპეცოპერაციებით მდიდარი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა, რომლის გამოყენების საჭიროება რატომღაც ცხინვალის რეგიონში გაჩნდა.

რუსეთმა ეს ძალებიც არ იკმარა და მოვლენების ესკალაციამდე 10 დღით ადრე ცხინვალში რუსეთის გენერალური

ტყეში დამალული კოკოითის რეჟიმის ტანკი



ალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამართველოს განკარგულებაში მყოფი კიდევ ერთი, მე-10 სპეცდანიშნულების ბრიგადის ერთ-ერთი დანაყოფი შემოვიდა.

სპეცდანიშნულების ექვდანაყოფები საქართველოს სიღრმეში შემოჭრილი რუსული დაჯგუფების ავანგარდში იყენებ და წინა ხაზზე მოქმედებდნენ. კერძოდ, „ვოსტოკის“ მეტროლოები 9-10 აგვისტოს ცხინვალში პირველები შევიდნენ. მონაწილეობდნენ ასევე 11 აგვისტოს სოფელ შინდისთან, ზემო ხეთის გაწმენდის ოპერაციაში. აქ სენაის მე-2 ბრიგადის ერთ-ერთი ქვედანაყოფი ჩასაფრებაში მოხდა.

ე.წ. რუსულ სამშვიდობო ბატალიონის პირად შემადგენლობას პოზიციები მდღერიკისთან, ერედეთან, ფრისთან, განათთან, წვერიახოსთან, კვერნეთთან, არცეთთან, თამარაშენთან, კვტსა და სარაბუკის სიმაღლეებზე ჰქონდა დაკავებული.

ზემოთ დასახელებულ არც ერთ პოზიციასზე ქართველ და რუს სამხედროებს შორის შეიარაღებულ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია.

ბრძოლები ე.წ. რუსულ სამშვიდობო ბატალიონთან, რომლის შემადგენლობაში სპეცკვედანიშნულების პირადი შემადგენლობაც იყო, მხოლოდ „ვერხნი გორილიკიან“ მოხდა.

ე.წ. რუსული სამშვიდობო ბატალიონის ვაზარის სახურავს რუსები და ოსები საარტილერიო ცეცხლის კორექტირებისათვის იყენებდნენ, ხოლო იქვე ახლოს გამაგრებული პოზიციები კოკითის უკანაზო ფორმირებებს ჰქონდათ დაკავებული.

ეს ცხინვალის სუბარატივული რეჟიმისათვის ე.წ. რუსული სამშვიდობო ბატალიონის სრულ სამხედრო მხარდაჭერას ნიშნავდა, ხოლო რუს მშვიდობისმყოფელებში მსხვერპლი კრემლის გვემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.

წლების მანძილზე ცხინვალის რეგიონი რუსეთმა საქართველოს ხელისუფლებისათვის დახურულ ზონად გადააქცია, სადაც მომავალი ომისათვის ფარულად მნიშვნელოვან სამხედრო ინფრასტრუქტურას ქმნიდა.

ჯაეიდან ჩრდილოეთით, სოფელ ხეწისთან წინასწარ მომზადებული ვლადიკავკაზის მე-19 მოტომსროლელი დივიზიის საბრძოლო მასალების, საწვავისა და საკვების საწყოების აგვისტოში აგრესორის ჯარები მარაგის შესაყვებად იყენებდნენ.



ცხინვალის ქუჩაში განადგურებული ოსური სამშვიდობო ბატალიონის 5M1-2

ჯაესთან მომზადებული იყო ორ ათეულამდე Ми-8 და Ми-24 ტიპის შვეულმფრენების მისაღები მოედნები.

სტრატეგიული მნიშვნელობის რაკეტაგვირავის შესასვლელი პორტალი, გუფთის ხიდი და სხვა ობიექტები ასევე რუსი სამხედროების კონტროლქვეშ იყო.

აგვისტოს პირველ რიცხვებში რუსეთის საჯანგებო სიტუაციების სამინისტრომ ცხინვალის რეგიონიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის ოპერაცია დაიწყო და დაახლოებით 30 ათასზე მეტი კაცი ჩრდილო კავკასიაში გადაიყვანა. ჩრდილო კავკასიიდან ცხინვალისკენ ე

მოხალისეები წამოვიდნენ. იყენებ ისეთებიც, ვისაც ვლადიკავკაზის სამხედრო კომისარიატმა მობილხაცადა გაუკუთა.

რუსეთიდან შემოსული კაზაკები ცხინვალში მე-9 სკოლის რაიონში მამდინარე ბრძოლებში მონაწილეობდნენ და ბერემა მათგანმა ოსეთის ორდენები და მედლები მიიღო.

აგვისტოს ომის წინ ცხინვალის რეგიონი სამხედრო თვალსაზრისით მილიანად მომზადებული იყო და ომის პოლიტიკური შედეგებიც მოსკოვს წინასწარ ჰქონდა განსაზღვრული.

თემურ ჩაჩანიძე

ვლადიკავკაზის მე-19 მოტომსროლელი დივიზიის ყოფილი 122 მმ-იანი პაუბიცები სახმედრო აღლუმებში რეგულარულად მონაწილეობენ



კავკასიური მოვლენების



აზერბაიჯანელი საზღვაო მესაზღვრეების სწავლების ერთი ეპიზოდი

აზერბაიჯანი

● 22-25 სექტემბერს სახელმწიფო სასაზღვაო სამსახურმა დიდმა სტაბიანი სწავლება ჩაატარა. სწავლებაში მონაწილეობდა 2 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე, 29 ხომალდი და კატარა და, 3 შეუქმლურენი, ჯავანტექნიკა, საარტილერიო სისტემები, წყალქვეშა ცურვის საშუალებები და სპეცკვედნა-ყოფები. დამუშავდა სახელმწიფო საზღვრის დაცვის დროს სამსახურებრივ-საბრძოლო მოქმედებები სანაპიროზე, კუნძულებზე, ნავთობ-გაზსადენებსა და ნავთობმომპოვებელ პლატფორმებზე.

● 28 სექტემბერს ანკარაში თურქეთის სახმელეთო ჯარების საგანმანათლებლო-სასწავლო ცენტრმა სწავლება Eternity-2009-ში მონაწილე აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის წარმომადგენლებს უმახიძილა. სწავლების პროცესში დამუშავდა მილსადენებზე საფრთხის შექმნის შემთხვევაში სამხედრო სტრუქტურების ურთიერთმოქმედების საკითხები. აზერბაიჯანის მხრიდან სწავლებაში თუ დაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო დაცვის განსაკუთრებული სამსახურის 13 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

● 5 ოქტომბერს ბაქოში ისრაელის ერთ-ერთი მსხვილი იარაღის მწარმოებელი კომპანია Elbit Systems-ის წარმომადგენლობა გაიხსნა. წარმომადგენ-

ლობამ რეგისტრაცია 14 სექტემბერს Elbit Systems of Azerbaijan-ის სახელით გაიარა. კომპანია აზერბაიჯანის თუ დაცვითი მრეწველობის სამინისტროსთან უბილთო საფრენი აპარატების წარმოებაზე მუშაობს. ადრე აზერბაიჯანმა შეთანხმება თურქეთთან ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებისა და სამხრეთ აფრიკასთან ჯავანტექნომომობილების წარმოებაზე გააფორმა.

● საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის არაზ აზიშოვის განცხადებით, უკვე განსაზღვრულია ის მიმართულებები, რომლის მიხედვითაც

სომხეთის საოკუპაციო ჯარები აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიებს დატოვებენ. სომხეთის ჯარები აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით გადაადგილებას დაიწყებენ და თვდაპირველად აღდამის, ფეხულის, ჯაბრაილის, ზანგილანისა და გუბადლის რაიონებიდან გეულენ, ხლო გათავისუფლებულ რაიონებში სამშვიდობო ჯარები შევლენ. სირთულეებია ლაჩინის რაიონთან დაკავშირებით, მაგრამ იმედი გამოიქვეყნა, რომ ეტაპობრივად ეს პრობლემაც დაიძლევა. არაზ აზიშოვის თქმით, სამშვიდობო ჯარების სტატუსისა და უფლებამოსილების სრულყოფას დადი ურადლება აქვს დიმიობილი. მინისტრის მოადგილის აზრით, ორ ქვეყანას შორის ნდობის გაზრდას ნაკლები სამშვიდობო კონტინგენტი სჭირდება.

● საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ასევე განაცხადა, რომ ოფიციალურ ბაქოში გაბაღის რადიოლოკაციური სადგურის გამოყენების თაობაზე კონკრეტული წინადადებები, ჯერჯერობით, არ მიუღია. მან განმარტა, რომ ჯერ საჭიროა გაბაღის სადგურის თაობაზე ამერიკა-რუსეთის მოლაპარაკებებში გარკვევა და ამის შემდეგ აზერბაიჯანი, როგორც სადგურის მფლობელი, საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს. 2002 წელს რუსეთმა გაბაღის რადიოლოკაციური სადგური აზერბაიჯანისაგან 10-წლიანი არენდით აიღო, რომლის ვადა 2012 წელს გადის.

ვარაზაღის პრობლემა
სომხეთ-აზერბაიჯანის
დაძაბული ურთიერთობის
მთავარ მიზეზად რჩება



მიმოხილვა...

რუს მესახდგრემა
საპატრულო ხომალდი
ქართველი
მესახდგრეების
გამოჩენის ელოდება



● ბაქოში დასრულდა 4 აზერბაიჯანელისა და 2 ლიბანელი მოქალაქის სასამართლო პროცესი, რომლებსაც ბრალად ისრავლის საელჩოსა და გაბალის რადიოლოკაციური სადგურის აფეთქების განზრახვა ედებოდათ სასამართლო ექსპერტის განცხადებით 12-დან 15 წელი მიუსაჯა.

სოხეთი

● სომხეთის მთავრობამ მოიწონა ბიუჯეტის პროექტი, რომელიც თავდაცვაზე 116 მილიარდ 291 მილიონ დრამს თითვლისწინებს. ეს თანხა 2009 წელთან შედარებით 30 მილიარდ დრამით ნაკლებია. 2009 წელს თავდაცვაზე 500 მილიონი დოლარი იყო გამოყოფილი, 2010 წლისათვის ეს მაჩვენებელი 300 მილიონ დოლარამდე შემცირდება.

● სომხეთი ვეველაფერს აკეთებს აზერბაიჯანის ტყვეობაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების სამშობლოში დასაბრუნებლად. ასეთი განცხადება გააკეთა სომხეთის შვიდარადებულ ძალების მთავარი შტაბის წარმომადგენელმა, პოდპოლკოვნიკმა სამველ ასატრიანამ. ამჟამად ტყვეობაში 6 სამხედროა და ამ საქმეზე მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად მიმდინარეობს.

● სამველ ასატრიანის ინფორმაციით, 2009 წელს აზერბაიჯანმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება 3394-ჯერ დაარღვია. ამის შედეგი იყო, რომ 6 სექტემბერს აზერბაიჯანელმა სნაიპერმა ერთი სამხედრო მოკლა, 27 სექტემბერს კი ერთი ჯარისკაცი დაიჭრა.

ბარდოელ მწვერუთა ვეგუფმა აღმართა.

● ქალაქ მინერალური წყლებსა და მინერალური წყლებს რაიონის სამხედრო კომისარიატი აგრძელებს სამხედრო-საკონტრაქტო სამსახურში 20-დან 40 წლამდე ასაკის მოქალაქეთა მიღებას. შეთავაზებულია სამსახური გუდაუთსა (სამხედრო ნაწილი 09332) და ცხინვალში (სამხედრო ნაწილი 66431). ანაზღაურება 25 ათასი რუბლი, ანუ დაახლოებით 800 ლლარზე ცოტათი მეტია.

● 5 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, ჩენიეთში ურუს-მარათანის რაიონში ჩასაფრებიდან გახსნილ ცეცხლში ფედერალური ჯარების შეუღლმფრენი მოკვდა, რომელსაც დაჭრილი სამხედრო გადაჰყავდა. შეუღლმფრენში მყოფთაგან არაუენ დაჭრილა, მაგრამ MI-8-ის კორპუსში 5 ნატყევიარი აღმოჩნდა.

გემების გაცილება და საზღვაო აკვტორიის გარკვეული მონაკვეთების დაცვა-პატრულირება. გენერლის აზრით, ზღვაში რუსული ხომალდების ყოფნა ქართველებს აფხაზეთისაკენ მიმავალი გემების დაკეების საშუალებას არ მისცემს.

ცხინვალის რევიონი



კოკოთი ენ. ოსური
სამშედილოზ ბატალიონის
მებროლილება ეფირობს

კონფლიქტი კვირნი

აფხაზეთი

● 2 ოქტომბერს სოხუმში მყოფმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი სოხუმთან ერთად მუშაობს აფხაზეთის პორტებისაკენ მიმავალი გემების ნეიტრალურ წყლებში გაცილების საქმეზე.

● რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღერო სამსახურის აფხაზეთის სასაზღერო სამმართველოს უფროსის, გენერალ-მაიორ იური ზვირიკის თქმით, მიმდინარეობს ძალუფანი და პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებათა შემუშავება, რათა საქართველომ შეწყვიტოს აფხაზეთისაკენ მიმავალი გემების დაკება. გამოყენებული იქნება საეკრეო

● კოკოთი მუხედა ენ. ოსური სამშედილოზ ბატალიონის მებროლილება ეფირობს. კოკოთი მუხედა ენ. ოსური სამშედილოზ ბატალიონის მებროლილება ეფირობს. კოკოთი მუხედა ენ. ოსური სამშედილოზ ბატალიონის მებროლილება ეფირობს.

ჩილილო კვირნი

● 30 სექტემბერს ვაბარდო-ბალყართის დედაქალაქ ნაღჩიკში აფხაზეთის მოედანზე შედგა მიტინგი, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის დამთავრების წლისთვის მიძღვნილია. კონფლიქტში ჩრდილო კავკასიის ერებიდან ვეველაზე ბუერი — დაახლოებით 1500-ზე მეტი ვაბარდოელი მონაწილეობდა. მათგან 56 დაიღუპა და 3 უკვალოდ დაკარგულად თოვლება. 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმში მინისტრთა საბჭოს შესონის ოპზე აფხაზ სეპარტიცისტა ღრომა ვა-

ანტიტერორი ბანოს თანხლებით

2009 წლის თებერვლის დღია, 8.00 საათი. სამხრეთამერიკული ზაფხულის ცხელი მზე ძალას იკრებს. ათი საათისთვის უკვე პლუს 35 გრადუსი იქნება. ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე ზუგომბინეზონიანმა მებრძოლებმა ბუენოს-აირესის გარეუბან ეჩეიზაში რიგითი საწვრთნელი ოპერაცია დაიწყეს. ისმის პისტოლეტ-ტყვიამურევეს MP-5 „პეკლერ კოხების“ მოკლე ვაჭრების ხმა, რომელთაც დროადარო 9-მილიმეტრიანი პისტოლეტების (Sig 226) ხმა ენაცვლება. პერიოდულად ესპანურ ენაზე ბრძანებები გაისმის და შუესამოსიანი მებრძოლები საწვრთნელი ამოცანის შესასრულებლად შეტყუვზე გადადიან. ასე მგორდება რამდენჯერმე, რათა სწრაფები, ზუსტები და უკუეთოსად მომზადებულნი შეხედნენ განსაცდელს. იარაღთან თანაშეზრდილი სპეცრაზმელები უცებ წვევტენ მორაობას, რათა მოულოდნელად მოსწყდნენ ადგილს, რის გამოც მათი მოქმედების რიტმი არგენტინულ ტანგოს მოგაკარნებს. ისეთი არგენტინის ანტიტერორისტული სპეცკვადანაყოფების მებრძოლები არიან.

არგენტინა, ლამაზი ქალებსა და ფეხბურთის ვარსკვლავების სახელგანთქმული ქვეყანა, ხელისუფლების ხშირი ცვლითაც არის გამოჩენილი, რომლის დროსაც საგანგებო ძალების პოლიციის ქვედანაყოფები ფეჟკტინანად იცილებენ თაიდან ფეიქებადსაშიშ სიტუაციებს და მათ თანმხლებ ტრაგედიებს.

„შუარდენი“

არგენტინაში ერთ-ერთი პირველი და შედარებით სახელგანთქმული საპოლიციო ფორმირება არის ბრიგადა „პალკონი“ (Brigade especial Operativa Halcon). „პალკონი“ ქართულად შეფარდენს ნიშნავს. ეს გახლავთ ტერორიზმთან საბრძოლო და მძევალთა განმათავისუფლებელი სახელმწიფო ნაციონალური ქვედანაყოფი, რომელიც ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს ემორჩილება. მისი დანიშნულებაა ისეთი სიტუაციების თაიდან აცილება,



რომელთა დროსაც შესაძლებელია მძევლების აყვანა და ტერაქტის მოწყობა, უპირველეს ყოვლისა, გაზტყვილებზე, რკინიგზაზე, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტზე. მისი მოვალეობაა სახელმწიფო მოღვაწეთა და სხვა ვიპ-პერსონათა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, „პალკონი“ ტერორისტთა თაღდასხმებისგან იცავს უცხოეთში ვანთავსებულ არგენტინის დაწესებულებებსა და წარმომადგენლებებს, საელჩოებსა და საკონსულოებს, აგრეთვე უზრუნველყოფენ არგენტინელი პოლიტიკოსების საზღვარგარეთული ეიზბტების უსაფრთხოებას.

ქვეყნის შიგნით მათი მოქმედების არეალი შემოფარგლულია განსაზღვრული ქალაქების ქსელითა და არგენტინის დედაქალაქის გარშემო მდებარე საგარეუბნო დასახლებული პუნქტებით.

„პალკონი“ 1986 წელს შეიქმნა და თავიდანვე დისლოცირებულია ექიმ-დემაციოში, კომანდოსების 601-ე ბატალიონის ბაზაში. ბრიგადა შედგება ხუთი განყოფილებისაგან, რომელთაგან თითოეულიმ თხოთმეტე კაცია, მილიანად 75 ოპერატორი. განყოფილებაში მეთაურის გარდა ირიცხებიან: მეკუეშიორი სნაიპერი, ამფოტექტელი სანიტარი,

„ლიბა“

სამკურნალო გაართიანება

სამსოკათოლობია

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე

მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

ფსიქოლოგი (მოლაპარაკებების წარმართველი) და შვიდი ოპერატორ-მოიერიშე. როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსი სახის საგანგებო ქვედანაყოფებში, მასშიც მებრძოლებს მონალისეობის პრინციპით არჩევენ. მონალისეებმა, როგორც წესი, მკაცრი ფიზიკური და ფსიქოლოგიური გამოცდები უნდა ჩააბარონ. საბოლოოდ, გამოცდების შედეგად ათი მონალისეგან ექვსი განითავსება ხოლმე და მხოლოდ ოთხს იტოვებენ საცერაზში ჩასარიცხად. ქვეანყოფილებაში კურსანტის მომზადება წელიწად-ნახევრის განმავლობაში გრძელდება, რომელსაც მხოლოდ ყოველი მეათე კანდიდატი უძლებს.



ექსკლუზიურად წყვეტენ პოლიტიკოსები. ეს გადაწყვეტილებები ეფუძნება პირად აღქმასა და ქვედანაყოფების სპეციოპერაციასზე გადასროლის ლოჯიკას. ტერორიზმთან საბრძოლველად არგენტინის ხელისუფლებას ჰყავს ორი სპეც-ქვედანაყოფი, რომლებიც მზადყოფნითა და აღჭურვილობით მსოფლიოში საუკეთესოთა რიგს მიეკუთვნებიან, რითაც შურს აღუძრავენ მრავალი ქვეყნის ხელისუფალით იმის გამო, რომ **Seccion Fuerzas Especiales**-ის სამომქედო არეალი ქალაქგარე და სასოფლო მიდამოებია, მათ შენაერთებს აქვთ ამ მიდამოებში მოქმედების უპირატესი უფლება. ისინი რეაგირებენ იმ უპირატეს მუქარასა და გამოძახებებზე, რომლებსაც აწვდებიან ადგილობრივი კონტრტერორისტული რაზმები.

1986 წელს შექმნილმა საგანგებო

ძალების სექციამ (SFE) თავისი სახელიანი ისტორია პარავაისა და ბოლოვის საზღვარზე ტერორისტების განადგურებით დაიწყო, სადაც „კეპობლას“ ბოეიეები მთებისა და ჯუნგლების გამოყენებით, რაც შუენიერ საფარს წარმოადგენდა, ნარკოდენერის შექმნას აპირებდნენ. ამ მიდამოების სოფლების შარაგზები და თითქოს ტურისტულ პროსპექტებზე აბეჭდილი მთავორიანი დასახლებები ველური დასავლეთის პეიზაჟებს ჰგავს. ქვეყნის ცენტრისგან სიმორე, უზსოობა და მიუგომლობა ტერორისტების დიდი ხნის განმავლობაში დაუსჯევლად ბოგინის საშუალებას აძლევდა, მაგრამ როცა ეს წველად მისადგომი და სახიფათო ადგილები ახალი მადლმობილური ქვედანაყოფების, რომლებიც საუკეთესოდ ფლობდნენ მთავორიან გარემოში ბრძ-



საგანგებო ძალების სექცია

ტერორიზმთან საბრძოლველად გამომხრული მეორე შენაერთი საგანგებო ძალების სექციამ (**Seccion Fuerzas Especiales**). პარამუტისტითა ეს შენაერთი არგენტინის სახელმწიფო თავდაცვის სამინისტროს პოლიციის დაქვემდებარებაშია.

ეს საპოლიციო სტრუქტურა თავისი ამოცანებით, მოქმედების არეალით, შესაძლებლობებითა და აღჭურვილობით იტალიურ კარაბინერთა კორპუსსა და საფრანგეთის ეროვნულ ჟანდარმერისა მოგავგონებს.

ქვედანაყოფის პასუხისმგებლობის ზონა ქვეყნის სიღრმეში მდებარე მწვეანე მთავორიანი სასოფლო და სადაბო მიდამოებია. როცა ქვეყანაში სხვადასხვა უწყებებს საკუთარ გამგებლობაში სპეცდანიშნულების ქვედანაყოფების სტრუქტურები ჰყავთ, მათ შორის აუცილებლად წარმომიყვება ხოლმე მეტოქეობა და კონკურენცია. მაგალითად, იტალიაში კარაბინერების ქვედანაყოფები **GIS** კონკურენციას უწყებს ეროვნული პოლიციის სპეცდანიშნულების (**NOCS**) რაზმებს. საფრანგეთში ასეთივე მეტოქეობაა ნაციონალური ჟანდარმერიისა (**GIGN**) და ეროვნული პოლიციის (**RAID**) სტრუქტურებს შორის. არგენტინაში, ისე როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში, „ხალკონის“ ბრიგადებისა და **Seccion Fuerzas Especiales**-ის გამოყენების საკითხს თითქმის



ოლის უნარ-ჩვევებს, პასუხისმგებლობის ზონაში მოხელა, ვითარება შეიცვალა. ტერორისტებისათვის მოულოდნელად საკანგებო ძალების სექციის რაზმები მიუბიძგან ჩადიოდნენ, აფეთქებდნენ სახლების, აპატემბრებდნენ დამანაშველებს და რეიდებს ატარებდნენ მიუბიძგა მიკარგულ შორეულ სოფლებში.

მოწინააღმდეგის გასანადგურებლად იარაღის ეფექტიანად გამოყენების უნარი სექციის მეომრების მაღალი პროფესიონალიზმის ერთ-ერთი საზომიც არის.

საბრძოლო მომზადება და ამოცანები

ყოველ დღით, სამუშაო დღის დაწყების წინ, ოპერატორები სროლაში ვარჯიშობენ. ისინი არსენალში არსებულ ყველა იარაღს ისვრიან, დაწყებული SigSauer P226-ით და დამთავრებული პისტოლეტ-ტყვიამფრევე Heckler & Koch MP-5-ით. ყოველდღიურად ლიმპიტით გამოყოფილი ვაზნების განსაზღვრული რაოდენობა იხარჯება. სწრაპერები, რომლებიც SSG2000 308 კალიბრის შაშხანებით არიან აღჭურვილი, სახსენებლის რბილად დამუშავებაში იწაფებიან. სროლაში ვარჯიშებთან ერთად, ყოველდღიურ მომზადებაში შედის სხვა დისციპლინებიც, რომლებიც ოპერატორთა პროფესიონალიზმის ამბილემის უწყობენ ხელს. ეს დისციპლინებია:

მკველთა მოძებნა და გათავისუფლება; ოპერაციის ჩატარება ტყვესა და ჯუნგლებში; მანქანის სწრაფი სიქქარით მართვა და მანევრირება; შენიშობის შეუმჩნეველად შეღწევა და ოპერაციის ჩატარება; სადრობის სხვა დანერგვა; სამდინარო და ამფიბიური ოპერაციები. არცთუ დიდი ხნის წინ საქვეყნად

აყოფრება თავიანთი გამოცდილება საკვეთო ხომადიდან მძველების გათავისუფლებით გაამდიდრეს. „ხალკის“ ბრიგადებს საგანგებოდ წვრილიან ასეთ ოპერაციების ჩასატარებლად და არგენტინაში ტერორისტების მიერ თვითმფრინავის გატაცების შემთხვევაში საგანგებო ძალების სექციის წევრები ვალდებული არიან გამოძახებისთანავე გაემგზავრონ ქვეყნის ნებისმიერ წერტილში დეალების შესასრულებლად.

თანამშრომლობა

სექციის მეომრები თვითმფრინავებში მძველების გათავისუფლებით პირველად მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც 1994 წელს აღჟირებდა ტერორისტებმა აერობუს A300-ის მგზავრები დაატყვევეს. მარსელის აეროპორტში მამინ მძველების გათავისუფლების ოპერაცია საფრანგეთის ეროვნული ჟანდარმერიის საგანგებო რაზმმა GIGN-მა ჩაატარა.

ფრანგმა სპეცრაზმელებმა ბრწყინვალედ იმუშავეს, მაღალი, საერთაშორისო კლასის ოსტრტობა გამოველინეს და ასორმოცდაათი მძველი გაათავისუფლეს. ოპერაციის შესრულების ხარისხმა საფრანგეთის სახელმწიფოს პრესტიჟი აამაღლა საერთაშორისო არენაზე. ფრანგ კოლეგების წარმატება საგანგებო ძალების სექციის პირად შემადგენლობას იმ მაღალპროფესიული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებელი ინტენსიური წვრთნებისკენ უბიძგა, რის შემუშავებაც ტერორისტების ნებისმიერ პოტენციურ მუქარას გაუმკლავდებოდნენ არგენტინაში.

თვითმფრინავებზე ტერორისტების თავდასხმების ახალგადად საჭიროა ლაინერის კონსტრუქციის კარგი ცოდნა, ოპერაციის დროს სპეცრაზმელებმა

ყოველთვის შეთანხმებულად უნდა იმოქმედონ, მნიშვნელობა არა აქვს, Boeing 747-ის ბორტზე არიან თუ Fokke-27-ზე. ამიტომ, მიიღეს თუ არა ნაციონალური ავიაციის მსახივრების სამმართველოს უფლება, მამინე მუდგუნენ წვრთნებს. სექციის სპეცრაზმელები აეროპორტების ზშირი სტუმრები ვაზდნენ, სადაც სპეციალსტებმა მათ სხვადასხვა კონსტრუქციის ავიაციის მსახივრების თავისებურებანი შეასწავლეს. მალე სექციის მეთაურებმა სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავების იერიშების ადეკვატური ტაქტიკური გეგმები შეიმუშავეს.

მსოფლიოს ქვეყნების ყველაზე ავტორიტეტული ანტიტერორისტული სპეცკვედნაყოფების გამოცდილების გასაცნობად „სპალინოს“ ხელმძღვანელებმა ოთხდღიანი მიმართა საფრანგეთის ეროვნული ჟანდარმერიის მესვეურებს მათ ელიტურ ქვედანაყოფებში არგენტინელი ჯარისკაცების სხვაჟირების თაობაზე. თანხმობის მიღების შემდეგ კი GIGN-ში არგენტინელების პირველი ჯგუფი გაგზავნეს.

გარდა ამისა, სექციის მეომრები სწვლებებსა და წვრთნებს გადიოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატების კონტრტერორისტული საზოგადოების წევრებსა და სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნების სპეცრაზმელებთან ერთად. ლეისიების Seccion Fuerzas Especiales-ს საქმიანი ურთიერთობა აქვს ესპანეთის ეროვნული პოლიციის საგანგებო ოპერაციების ჯგუფებთან (GEO) და ერთობლედ სწვლებებსა და წვრთნებს რეგულარულად გადის.

კანდიდატების შერჩევა და მოთხოვნები

ყველა არგენტინელი პოლიციელი სივის ყველაზე რთული ამოცანა საგანგებო ძალების სექციის წევრად ვაზდომა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ელიტური ქვედანაყოფის დაკომპლექტების პრინციპი ნებაყოფილობითია, მასში ჩარიცხვას თითო-ორიოლა თუ ახერხებს.

სპეცრაზმში ჩარიცხვის სურველ კანდიდატს შემდეგ მოთხოვნები წაუენებენ ზოლზე: უპირველეს ყოვლისა, უნდა ჰქონდეს სერჟანტის წოდება, პოლიციელად მუშაობის მინიმუმ ხუთი წლის უწყველად სტაჟი და სრულად ჯანსაღი უნდა იყოს. კანდიდატის ფიზიკურ მზადყოფნას მოქმედველი ტესტებით ამოწმებენ, რომელშიც შედის ცურვა, წინაღობების გადალახვა, მთლიანი ეკვიპირებით მრავალკვილიტტრიაინ მარშები და იარაღის მარჯველ მოხმარე-

ბა, რაც პოლიგონებზე დადგენილი ნორმატივების თანახმად საბრძოლო სროლებს მოიცავს. ფსიქოლოგიური ტესტების გავლის შემდეგ იწყება ექსპერიმენტული ძირითადი სასწავლო კურსი, რომელიც სამოქმედო სასწავლო ციკლადა გაყოფილი. ჩვეულებრივი სასწავლო პროგრამით კანდიდატებს ასწავლიან შენიღბვის ხელოვნებას, ისინი გადიან საბოლოო მომზადებას, იძენენ ვუნდებში ოპერაციების ჩასატარებლად დედანდადეგების უნარ-ჩვევებს. გარდა ამისა, მომზადების სპეციალური პროგრამაში შედის პარაშუტიზმი, ტროპიკული დროის ტესტირება, დანადგარ-აფეთქების ხელოვნება, პიროტექნიკისა და ცეცხლი იარაღის გამოყენება.

როგორც წესი, სწავლებას კანდიდატთა მხოლოდ 20 პიროვნები უძღვება, ამ უკანასკნელთა კი ერთი გამოსაცდელი ვადა, რომელიც რვა თვეს გრძელდება. კანდიდატები გამოსაცდელ ვადას სექციის მეთაურთან ერთ-ერთის ხელმძღვანელობით გადიან. გამოსაცდელი დროის წარმატებით გავლის შემდეგ კანდიდატებს სექციის ძირითად შემადგენლობაში ჩარიცხავენ.

სტრუქტურა და გამოყენების წეს-განრიგი

სპეცრაზმელთა ორმოცდაათიანი შემადგენლობით ოპერატიული სექციადაა გაყოფილი, რომელთაგან თითოეული ორი ჯგუფისგან შედგება და ორ ოპერატიულ საიერიშო რაზმს მოიცავს. არგენტინის ეროვნული პოლიციის მიერ დადგენილი სამუშაო პროცედურის თანახმად, ტერორისტული მუქარის შემთხვევაში, განვითარებული სექციის შემადგენლობით. სამხატო განაწესის თანახმად, ჯგუფში შედის ორი სნაიპერი. ოპერატიული სექციას დამატებით აძლიერებენ თავდასხმისათვის განკუთვნილი იარაღით აღჭურვილი საგანგებო პერსონალით და საგანგებო იარაღის ფართო არსენალით (დაწყებული არბალეტითა და დამთავრებული ყუმბარასატყორცით) აღჭურვილი მებრძოლებით. ტრანსპორტი, რომელიც ოპერატიული ამოცანების გადასაწყვეტად სექციის განკარგულებაშია, ორ ნაწილად იყოფა, — მიწისზედა ტრანსპორტი თავად სექციის საკუთრებაა, საჰაერო კი — შთაჯანსაღი. მიწისზედა ტრანსპორტში შედის ავტომობილები და ყველაგანმელები, საჰაეროში — C-130 თვითმფრინავები და შვეულმფრენები „AH-1“,

რომლებსაც არგენტინის სამხედრო-საჰაერო ძალების სექციის ხელმძღვანელობის მოთხოვნისთანავე სთავაზობენ სპეცრაზმელებს.

ისისათვის, რომ **Seccion Fuerzas Especiales**-მა უსოკლეს ვადაში აღკვეთოს ნებისმიერი ინციდენტი არგენტინის ტერიტორიაზე, ავიატა მზადყოფნაშია ოცდაათიანი საათის განმავლობაში. ოპერატიულობის მაძღვრების მიზნით **Seccion Fuerzas Especiales**-ი დისლოცირებულია სამხედრო ბაზა ენუიზიდან ორი კილომეტრის დაშორებით და მობილური ტელეფონებისა და პეიჯერების საშუალებით მუდმივ კავშირშია სახელმწიფო პოლიციის ხელმძღვანელობასთან. მუდმივ საომარ მორიგობაში იმყოფება ერთ-ერთი რაზმი, რომელიც მზადაა უსოკლეს ვადაში შეიღვს დათქმულ ადგილას და ოპერაციის ჩასატარებლად გაიშალოს. საომარი მორიგობის ასეთი ორგანიზება საგანგებო ძალების სექციის მებრძოლებს საშუალებას აძლევს. პირველბაში მთავანდონ რეაგირება ქვეყანაში ნებისმიერი საგანგებო მდგომარეობის შექმნის შემთხვევაში.

დროის მოთხოვნა
არგენტინის სახელმწიფო პოლიციის ხელმძღვანელობას კარგად ესმის

Seccion Fuerzas Especiales-ის უნიკალური ოპერატიული მონაცემების მნიშვნელობა, რაც ქვედანაყოფს საშუალებას აძლევს წარმატებით გადაჭრას მის წინაშე წამოჭრილი პრობლემები. ამიტომაც 1999 წელს ქვედანაყოფი ერთი მესამედით გაზარდეს და სექციის მებრძოლთა რაოდენობამ სამოცდაექვსი მილიონა, 2009 წლის დასაწყისში კი საგანგებო ძალების მებრძოლთა რაოდენობა ას კაცამდე გაიზარდა.

ბუენოს-აირესში ისრაელის საელჩოსა და ებრაელთა კულტურულ ცენტრზე მოწყობილია ტერორისტულმა აქტებმა ცხადყო, რომ არგენტინა, უსუსური აღმოჩნდა ახლი აღმოსავლეთიდან და პოტენციურად სახიფათო ქვეყნებიდან მომდინარე საერთაშორისო ტერორიზმის წინაშე. ქვეყანა, რომელსაც ავტორიტარული მმართველობისა და შიდა ოპოზიციის მკაცრი დათრგუნვის დიდი გამოცდილება აქვს, არა მარტო საერთაშორისო ტერორიზმთან გამკლავების, არამედ ქვეყნის შიგნით არსებულ ტერორისტულ ელემენტებთან ბრძოლის პრობლემაც აქვს.

ამიტომაც შეიქმნა არგენტინისათვის ესოდენ საჭირო საუკეთესოდ მომზადებული პროფესიონალი მებრძოლებით დაკომპლექტებული ტერორიზმთან ბრძოლის სპეცსამსახური...





არსებულვორდი

					1	2	3	4	5
6									
7									
8	9		10						
14							11	12	13
							15		
16	17		18						20
21				22	23		24		
							25		
			26						
27									
28					29				
									

თარგუმად 6. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე; 7. ნორვეგიული პისტოლეტი; 8. ესპანური რეოლეკრა; 11. „პონდას“ მიღელი; 14. მიწინააღმდეგის თვითმფრინავის, გემის ან ტანკისთვის დარტყმა მანქანის კორპუსით 15. სამშობლო; 16. ამერიკული საბაზო-საატრეოლო თვითმფრინავი; 19. პრიბოლა; 20 დამის ფრინველი; 21. ადამიანის თავის მოსაკვეთი მანქანა ძვ. საფრანგეთში; 24. კუნძული ხელოაშუა ზღვაში; 26. ააბონური პისტოლეტი; 27. ავსტრიის დედაქალაქი; 28.

რუსული ავტომობილი; 29. შვედური ტანკ-საწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი.
ვხუთად 1. ვარის უფროსი, მზე-დართომთავარი ძვ. რუსეთში; 2. სარწმუნოება; 3. ამერიკელი კინორეჟისორი, ავტორი ფილმის „შინდერის საა“, „რიგითი რა-ანის გადასარჩენად“ და სხვა; 4. ამერიკული ავტომობილი შაშხანა; 5. სახმელეთო ბაზირების ამერიკული ბალისტიკური რაკეტა; 6. საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; 9. ახალ-გაწვეული ვარისკაცი; 10. „ვეფხისტყაოს-“

ნის“ პერსონაჟი; 11. ინგლისური სამხედრო სარემონტო-სავეკუცაციო ავტომობილი; 12. საპერო და საზღვაო სამხრეების აღ-მოძენი დანადგარი, რომელიც დამონტა-ვებულია „ლაფაიეტის“ ტიპის ფრეგატე-შზე; 13. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 17. გერმანიის შვიარ-ალებული ძაღვის სახელწოდება 1935 წლამდე; 18. დიდი საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებანი; 22. რუსი კოს-მონიუტი; 23. იმში ნაშენი ქიწიკა; 25. გერმანული რეოლეკრა.

ფურანლის წინა ნიშრში გამოქვეყნებული „არსენალიორდის“ პასუხები: **თარგუმად**: 5. პაუტკაზტი; 6. ლანკასტერი; 7. გულკში; 8. ეპიზტაცია; 11. კე; 13. ტანკი; 14. ფრინტი; 17. ინდიო; 20 მუხი; 21. მტელოტი; 23. კორფილა; 24. სეი; 25. ირა; 26. პეტელა; 27. რადიო; 28. აკაში. **ვხუთად**: 1. ფლანგა; 2. სტრატეგი; 3. დანტეხი; 4. კირაქლე; 8. ვესტორი; 9. ირიფხი; 10. ანა; 11. პიხვენი; 12. რიომერი; 15. ლეო; 16. იახა; 18. დეტონაცია; 19. გოლიკებრი; 21. მტელიდა; 22. ტრობელი; 23. კახაცია.

პისტოლავი პუბინისთვის

ГЦ-18

„მაკაროვი“ მსუპეში, თანაც პის პილიუი 10 პაზნით პეგი პეპეა!


ამ სურათზე ერთი დახედვაც კმარა იმის მისახვედრად, რომ რუსეთის ექსპრეზიდენტ პუტინის სახე გოცებას გამოხატავს, — იგი ვერ მიმხვდარა ამ პისტოლეტის ავანზავს...

მართლაც, გრიაზეე-შოპუნოვის შედარებით ახალი პისტოლეტი ГЦ-18 ორმავე გრძნობას აჩენს.

ტულის ხელსაწყომწებელი საკონსტრუქტორო ბიურო მიუღ მსოფლიოში ცნობილი იყო ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსების: „ფაგოტის“, „კონკურსის“, „მეტისის“, „კორნეტის“, „ვიზრის“, ასევე საჰაერო ქვემეხებისა და მართვადი ჭურვების შექმნით. 1990 წლების ბოლოს ცნობილმა მეთარაღებმა გრიაზეემა და შოპუნოვმა ძალა პისტოლეტის შექმნასაც გადაუს.

მოგვიანებით, ვინც მათი ГЦ-18 გამოცადა, ამბობდა, ჯობდა გრიაზეესა და შოპუნოვს პისტოლეტის ნაცვლად ისევე საჰაერო ქვემეხების კონსტრუირება გაეგრძელებინათო, მაგრამ ყველა ასე არ ფიქრობს. მით უმეტეს, რომ ГЦ-18-ს მართლაც აქვს ბევრი დადებითი თვისება.

შეიძლება დაუჯერებლად მოგქვენოთ, მაგრამ ცარიელი მჭადით ГЦ-18



მხოლოდ 580 გ-ს იწონის, მაშინ, როდესაც ცნობილი ПМ „მაკაროვის“ მასა ვაზნების გარეშე უფრო მეტია — 730 გ.

ამასთან, თუკი „მაკაროვის“ მჭადში მხოლოდ 8 ვაზნა ჩადის, ГЦ-18-ის მჭადში ათით მეტი — 18 ვაზნა ეტყევა.


„მაკაროვის“ ლულის სიგრძე მხოლოდ 94 მმ-ია, ГЦ-18-ისა კი — 103 მმ.

მაგრამ მათი შედარებისას მთავარი მხოლოდ ეს პარამეტრები როდია. ГЦ-18 გათვლილია 9X19 მმ კალიბრის ПБП ტიპის ვაზნებზე, რომლებიც მსოფლიოში ცნობილი 9X19 მმ „პარაბელუმის“ ვაზნების ერთგვარი რუსული ვერსიაა.

თუმცა 9X19 მმ ПБП-ს სულ 4,2 გ მასის მსუბუქი ტყვია აქვს, რომლის



სერდუკოვის
СРС „Гюрза“



რომელია
ზღვრობები



იარაღის
ПЯ „Грач“



ГЧ-18 და
9x9 მმ კალიბრის
ПБП ტიპის ვაზნები

საწყისი სიჩქარე გასროლისას 600 მ/წმ-მდეა. შედარებისთვის: „მაკაროვის“ 6 გ-იანი ტყვიის საწყისი სიჩქარე მხოლოდ 315 მ/წმ-ია, ხოლო „პარაბელუმის“ 5.7 გ-იანი ტყვიისა კი 458 მ/წმ.

ГЧ-18-ს საკუთარი ПБП ვაზნების გარდა შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი 9X19 მმ კალიბრის ვაზნა, მათ შორის NATO-ს სტანდარტისაც.

ოღონდ ПБП ტიპის ვაზნის მსუბუქი ტყვიის გულა თერმულად გამაგრებული ფოლადისგანაა დამზადებული, რაც ზრდის მის ჯეჟმანგამტანობას. ამიტომაც ГЧ-18-ს ჯეჟმანგილეტების მხვერტავსაც უწოდებენ.

ГЧ-18-ს თვითდასე არ გაუმართლა, რადგან იმავე პერიოდში შეიქმნა იარაღის ПЯ და სერდუკოვის СРС (იგივე Гюрза). თუკი ГЧ-18 თითქმის ყველაფრით ჯობდა ნაწევარსუკუნოვან „მაკაროვს“, მისი უპირატესობა ამ ახალ რუსულ პისტოლეტებთან გაფრ-მკრთალდა ან საერთოდ გაქრა.

მიუხედავად ამისა, ГЧ-18 ერთი პირველი რუსული თვითდამტენი პისტოლეტია, რომელიც მე-20 საუკუნის ბოლოს შეიქმნა თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ანუ „კლოკოს“ შიბაძეთი. ГЧ-18-ის ბგერი დეტალი მტკიცე პოლიმერული მასალიდანაა დამზადებული, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მის მასას.

თუმცა რუსი ინჟინრების გარდა,



ჩვენი დროში: თვითდამტენ პისტოლეტ **ГА-18-ს** მხოლოდ ორმაგი მოქმედების საცემ-სასხლექტი მექანიზმი აქვს. მას შეუძლია გამოიყენოს 9X19 მმ კალიბრის ყველა ტიპის პისტოლეტის ვაზნა. ცარიელი მჭიდით მისი მასა მხოლოდ 580 გ-ია. პისტოლეტის სიგრძე 183 მმ-ს, ლულის — 103 მმ-ს შეადგენს. მჭიდში ორიგად 18 ვაზნა ეჭევა.

ГА-18-ის ავტომატიკა ლულის მცირე გადაადგილებასეა გათვლილი. ჩაქვტვა ლულის 10 საბრძოლო საყრდენზე 18-გრადუსიანი მოტრიალებით მიიღწევა. პისტოლეტის ჩარჩო გამძლე პოლიმერული მასალისგანაა დამზადებული, საკტი კი დაშტამპული ფოლადის ფურცლისგან.



ГА-18 და PM „მაკაროვი“



„გლოკს“ სხვა ქვეყნების კონსტრუქტორებიც დიდი ხანია პბაძევენ, რაც კარგად ჩანს „ვალტერ P99“-ში, „ბერეტა 9000“-ში, ჰეკლერ-კოჩის USP-ში და ა.შ.

ისევე როგორც „გლოკს“, **ГА-18-ს** ავტომატური დამცველი სასხლექტზე აქვს დაყენებული და თუ მსროლილი თითხ ბოლომდე არ გამოჰკრავს, გასროლა არ მოხდება. გამოცდების დროს გადატენილ პისტოლეტს 1,5 მ-იდან ბეტონის ფილაზე აუდებდნენ, მაგრამ პისტოლეტი თავისით არ ისროდა.

როდესაც პისტოლეტი გადატენილია, საკტის უკანა მხარეს 1 მმ-ზე გამოდის დამრტყმელის ღერო, რაც მსროლელს საშუალებას აძლევს ვიზუალურად ან თითხ შეხებით დარწმუნდეს, რომ პისტოლეტი შაადა გასასროლად.

ГА-18-ის გამოცდვლების თქმით, პისტოლეტის ტარი კარგად არის მორგებული ხელზე და ასეთი ეფექტაინ

ერგონომიკური გადაწყვეტილება დადებითად მოქმედებს სროლის სიზუსტეზე.

ამასთან, **ГА-18-ის** სიმძიმის ცენტრი ლულის ღერის ახლოსაა განთავსებული, რაც ასევე სწორი ტექნიკური გადაწყვეტილებაა სროლის სიზუსტის გასაზრდვლად.

ზოგიერთი ექსპერტი ძალზე კრიტიკულად აფასებს იმას, რომ **ГА-18-ის** საკტი წინიდან დიაა, რამაც შეიძლება მისი გაჭუჭყიანება და მწეობრიდან გამოხვლა გამოიწვიოს, მაგრამ პისტოლეტის კონსტრუქტორები ასე არ ფიქრობენ.

დადებითი თუ უარყოფითი მხარეების მიუხედავად, **ГА-18** ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას, თუნდაც იმიტომ, რომ ამ მსუბუქი პისტოლეტდანი 18 ჯეჟმანგამტანი ტყეია სწრაფ ტემპში შეიძლება გაისროლო და ახლო მანძილზე მდგარ მოწინააღმდეგეს გადარჩენის შანსი არ დაუტოვო.

ირაკლი პლადაშვილი



ГА-18-ის არასრული დაშლა



FLY-18

ᲒᲗᲗᲗᲗᲗᲗ



620/38

1-30-1